572
1958/2

დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!"

№ 1 საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

იანვარი 1958

ძვირფასო ბავშვებო!

ჩვენს რედაქციაში საახალწლოდ გვესტუმრნენ თქვენი საყვარელი მწერლები და მხატვრები.

მხატვრები ამ ნახატებით გილოცავენ, მწერლები კი—წერილებით.



ი. გრიშაშვილი

სულითა და გულით მოგილოცავთ დღევანდელ დღეს: ახალ წელს, ახალ სურვილებს!

რა გისურვოთ? ხომ იცით, ყველაფერი კარგი მსურს თქვენთვის,—სწავლა, ბეჯითობა, მეგობრობა და, რაც მთავარია, დედ-მამისადმი პატივისცემა და მორჩილება.

მე კი გპირდებით, კარგ ბავშვს კარგი ლექსი დავუწერო. არა! ცუდ ბავშვსაც კარგ ლექსს დავუწერ, იმ პირობით, რომ გავკილო და თავისი ნაკლი დავანახვო.

სხვა რა გითხრა, ჩემო კარგო,
ჯერ ნორჩი ხარ, ბაწაწინა,
გთხოვ, ხამშობლოს სიყვარული
მიგიძღოდეს მუდამ წინა,
არასოდეს დაივიწყო
საბჭოეთის დიდი მხარე,
შრომითა და კარგი სწავლით
ჩემი გულიც გაახარე!

ი. გრიშაშვილი

გილოცავთ მხატვარი შალვა ცხადაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

8 8 4 7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერონჯი ქიქოძე

ერეკლე მეორე, რომელსაც ხალხმა საალერსო სახელი პატარა კახი უწოდა, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა ქართლ-კახეთში. ის ას ხამოცი წლის წინათ გარდაიცვალა თელავის ციხე-დარბაზში, სწორედ იმ ოთახში, სადაც მისი აკვანი დაირწა.

ერეკლე მეორე თექვსმეტი წლის ჭაბუკი იყო, როდესაც თავი ისახელა როგორც მხედართმთავარმა: მან სასტიკად დამარცხა მოთარეშე ლეკების ჯარი. ამის შემდეგ ხელიდან ხმალი არ გაუგდია, თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე გაატარა; მის სასთუმალს ხშირად ცხენის უნაგირი წარმოადგენდა, მის ლოგინს — ნაბადი.

ერეკლე მეფე ცდილობდა თავისი სახელმწიფოს შინაური საქმეები მოეწესრიგებინა, სწორი სამართალი დამკვიდრებინა, სწავლა-განათლება გავრცელებინა. მან ორი სემინარია დააარსა, ერთი — თბილისში, ხოლო მეორე — თელავში. რუსეთსა და დასავლეთ ევროპიდან მეცნიერებს იწვევდა თავისი სამეფოს ბუნებრივი სიმდიდრეების გამოსაკვლევად და გამოსაყენებლად.

ერეკლე მეფის ნაყოფიერ მოღვაწეობას დიდად აბრკოლებდა ფეოდალების ურჩობა და გარეშე მტრების გამუდმებული თარეში. ამიტომ მან გადაწყვიტა თავისი სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ შეეყვანა.

ხალხს ძლიერ უყვარდა თავისი სახელოვანი მეფე და მისი სიყვარული მრავალ ლექსსა და სიმღერაში გამოჰხატა. შეიძლება თქვენც გაგონილი გქონდეთ ეს ლექსი:

ბატონიშვილი ერეკლე
ერთი პატარა კახია,
ჯაჭვის ჰერანგი ჩაცვეს,
ხელი გაჰკრა და გახია.

ერეკლეს მიერ მოგებულ ბრძოლებს შორის ყველაზე ბრწყინვალეა ასპინძის ომი, რომელშიც მან გაანადგურა თურქების და ლეკების გაერთიანებული ლაშქარი. ამ გამარჯვებამ ერეკლეს სახელი ცნობილი გახადა საქართველოს საზღვრებს იქითაც, რუსეთსა და ევროპაში.

ჩვენმა დიდმა ჰედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა საუცხოო მოთხრობა დაწერა ასპინძის ომის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასპინძის ომი

(იბეჭდება შემოკლებით)

იაკობ გოგებაშვილი

ნახატი ქ. მახარაძისა

ერთი მხრივ იბრძოდა ათი ათასი თათარი, მეორე მხრივ—ორი ათასი ქართველი.

ორივე მხარე მთელ ღამეს საომრად ემზადებოდა; გათენდა თუ არა, თათრების ჯარმა წინ წამოწევა იწყო და ატეხა ხშირი სროლა. ტყვია ხოშკაკალასავით მიდიოდა ქართველი ჯარისაკენ, მაგრამ მხოლოდ კლდეებს ადენდა მტვერსა, ჩვენს ჯარს კი ვერას აკლებდა, ისე ოსტატურად იყვნენ ამოფარებული სერებზე. მტერი დაიმედებული იყო, რომ ერეკლეს მცირეოდენ ჯარს მთლად ხელში იგდებდა, და ამ იმედს ისიც უძლიერებდა, რომ ქართველების მხრივ ჯერ ერთი თოფიც არ გავარდნილიყო. მტერმა ეს შიშს დააბრალა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ეს ოსტატობის ხერხი იყო და არა შიშის ბრალი. ერეკლესაგან ქართველ ჯარს ნაბრძანები ჰქონდა: ერთი თოფიც არ გაისროლოთ, ვიდრე მტერი ახლოს არ მოვაო. აი, ოსმალ-ლეკებმა სროლით ძლიერ ახლო მოატანეს ქართველ ჯარსა. უცებ ანიშნა ერეკლემ, დრო არისო, და დაიჭექა ჩვენების თოფებმა, მარჯვედ დამიზნებულებმა. თითქმის ყველა ტყვია თავის დანიშნულებას ეწია: პირველი რიგი მტრის ჯარისა ისე დაემხო დედამიწაზე, როგორც ცელით ძირში მოჭრილი გამხმარი ყანა. ხელმეორედ იგრიალა ქართველთა თოფებმა და მეორე რიგიც ჭერეხებივით მიწაზე დაემხო... ორი ათასი თოფი ქართველის ჯარისა სეტყვასავით აყრიდა ტყვიას თავზე.

ვიწრო ღელე მჭიდროდ იყო გაჭიკნილი მტრითა, ამიტომ თითქმის არც ერთი ქართველის ტყვია ტყუილად არ იკარგებოდა. ხმლით იერიშის მიტანა ოსმალ-ლეკებს იმის გამოც არ შეეძლოთ, რომ ხმალში ქართველები ძლიერ მარჯვენი იყვნენ და თავისი მაღლობი ადგილებიდან სულ ადვილად ამოსჩეხდნენ მათ.

თათრის ჯარმა თანდათან იწყო უკან დახევა, თუმცა თოფის სროლას არ აკლებდა. მაშინ ერეკლეს ბრძანებით ქართველი ჯარი აიშალა მაღლობებიდან და თოფების ჭახაჭუხით ღელეში ჩამოეშვა. თათრის ჯარმა ეს რომ დაინახა,

ხელახლა გააჩაღა ომი.

უცებ დაიძრა მტრის ჯარიდან ათასი ცხენოსანი ლეკი და ხმალამოღებული, ნიავსავით გამოექანა ქართველი ჯარისაკენ იერიშის მოსატანად. მას წინ მოუძღოდა ახოვანი ვაჟკაცი კოხტა ბელადი, პირველ მეომრად ცნობილი მთელს დაღესტანში. კოხტა ბელადი მისმა ბედაურმა კარგა მანძილზე დააწინაურა. ჩვენი მხრიდანაც ისკუპა ცეცხლსავით სწრაფმა მერანმა და გაექანა კოხტასაკენ. ამ მერანზე იჯდა მშვენიერი, შუატანის და შუახნის ვაჟკაცი, ცოტა ბეჭებში მოხრილი, არწივისებური თვალების პატრონი; ამ ვაჟკაცს მოძრაობაში ეტყობოდა საოცარი სისწრაფე და სიმარჯვე... ეს იყო ერეკლე მეფე, რომელიც ხმალამოღებული მიისწრაფოდა გამოქანებული მტრისაკენ. ერეკლეს ხმალამოღებლივ მოსდევდნენ შვიდნი სახელოვანნი ხევსურნი და სხვა ცხენოსანნი.

დადგა საშინელი წამი. ჩქარა ორივე ბედაური თითქმის ერთმანეთს შეეხალნენ. ერეკლეს და კოხტას ხმალმა ერთსა და იმავე წამს გაიელვა ჰაერში. დამიზნებული ხმალი კოხტასი ერეკლემ მარჯვედ აიცდინა და თავისი ბასრი ხმალი დასთხლიშა საკვირველი სისწრაფით მტერს თავზე. კოხტა მოსწყდა თავის მერანსა და მიწაზე ზღართა მოიღო. მაშინვე გაისმა ლომებრივი ხმა ერეკლესი:—ხმალი ამ წუნკალებსაო!

ქართველი ცხენოსანი ჯარი მიესია მტერსა და დაუწყო უწყალოდ ჩეხა. კოხტას მოკვლამ თავზარი დასცა მტერსა და მოადუნა. მტერი სწრაფად იწევდა უკან იმ იმედით, რომ ხიდამდის მივაღწევ. მტკვრის იქით ნაპირს გავალ და გაქცევით თავს ვუშველიო. მაგრამ მათ არ იცოდნენ, რომ შორსმჭვრეტელი ერეკლე ამისთანა წინდაუხედაობას თავის დღეში არ ჩაიდენდა. უცებ მოისმა საცოდავი ხმაურობა მტრის ჯარში, როცა იგი ხიდს მიუახლოვდა. რა ხმაურობა და ჟრიამული იყო ესა? ეს ხმაურობა ჰფენდა მტრის ჯარში საზარელს ამბავს—ხიდის ჩაშლას მტკვარზე.

ადვილად მიხვდებით, რომ ხიდი ქართველებისაგან უნდა ყოფილიყო გაფუჭებული, და ასეც იყო. ერეკლეს უნდოდა გასაქცევი გზა შეეკრა მტრისათვის. ამიტომ წინა ღამეს უბრძანა სამს რჩეულს ვაჟკაცს: — ჩუმად წაეხსნათ რამდენიმე ჯარისკაცი, შეუმჩნეველად მიპარულიყვნენ ხიდთან და გაეფუჭებინათ. ამათ ისე ოსტატურად და სწრაფად შეასრულეს ეს ბრძანება, რომ მტერს სრულიად არაფერი შეუტყვია, რადგანაც ხიდი ჩაფუშული როდი იყო, არამედ გადახერხილი ჰქონდა თავხეები. რა წამს პირველი რიგი გაქცეული თათრის ჯარისა შესდგა ხიდზე, თავხეები ჩაიმტვრა, ხიდი ჩაიშალა და თან ჩაიტანა ყველა...

სხვა გზა რომ აღარა ჰქონდათ, ოსმალლეკები ცვიოდნენ მტკვარში, ეგებ როგორმე იქით ნაპირს გავადწიოთო.

მაშინ აპრილი იდგა. წყალდიდობა იყო. მტკვარი აზვირთებული მოქუხდა და ამიტომ მასში გასვლა ძლიერ ძნელი იყო. იმდენი ჯარი ოსმალ-ლეკებისა თითქმის მთლად დაიღუპა, მხოლოდ ორმოცამდე კაცი გადარჩა. ესენი აღრიანად შევიდნენ ცხენებით მტკვარში, რის ვაი-ვაგლახით გაადწიეს იქით ნაპირას და გაქცევით უშველეს თავს. მთელი საომარი იარაღი, ზარბაზნები, ცხენები და სხვა სიმდიდრე მტრისა ქართველებს ჩაუვარდათ ხელში.

ქართველებს როგორღა დაუჯდათ ეს სახელოვანი გამარჯვება: ძვირად თუ იაფად? ძალიან იაფად; მოიკლა ასპინძის ომში მხოლოდ ოცდაათი ქართველი და ასორმეტ დაჭრილი იქმნა.

მაგრამ განა მარტო ასპინძის გამარჯვება დაისვა ასე იაფად პატარა კახმა? არა, იგი ყოველ მოგებულ ომში კარგავდა მხოლოდ მცირეოდენ ჯარსა, დიდ გამარჯვებას პატარა მსხვერპლით ახერხებდა, მრავალ მტერს მცირეოდენი ძალით ამარცხებდა, და სწორედ ამაში მდგომარეობს უზენაესი ღირსება სარდლისა. ეს ღირსება მეტადრე საჭირო იყო იმისთანა პატარა ქვეყნისათვის, როგორიც იყო საქართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეწვიე ნაძვის ხესთან!

ლავრენტი ქიქინაძე

ნახატები ალ. ვეფხვაძისა

გია და გიგლა ტყუპები არიან, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. მასწავლებელი ხან გიას ეძახის გიგლას, ხან გიგლას ეძახის გიას. ხშირად შინაც ასე ეცვლებათ. ზოგჯერ გიას დავალებას გიგლა ასრულებს უსიტყვოდ და გიგლას დავალებას გია. მაგრამ ერთხელ გიგლამ ხმა ამოიღო, როცა მას გიას მაგივრად მიმართა ძია სიმონმა.

ეს ახლახან მოხდა, ამ ზამთრის არდადეგებზე. გიასა და გიგლას ბიძია სიმონი ესტუმრათ. შინ შემოსვლისთანავე, როგორც კი ოთახში მიმოიხედა, მეოთხედის ნიშნების მოწმობები დაინახა და მაშინვე აიღო, თითქოს ამის სანახავად იყოო მოსული.

— ოჰო, აქ თქვენი ნიშნები იქნება, ვნახოთ, პირველკლასელი ხუთოსნები მეორეში როგორლა სწავლობთ. ყოჩაღ, გიგლა!—თქვა და არც კი შეხედა გიგლას. მერე მეორე მოწმობას გადახედა.

— გია!—წამოიძახა და გიგლას დააცქერდა,—არა გრცხვენია? რა არის ეს დაგრეხილი სამიანი?

რაიმე რომ დაევალებინა, გიგლა უსიტყვოდ გაიქცეოდა, მაგრამ ახლა კი წამოილაპარაკა:

— მე გია არა ვარ.

— შენ თუ არა ხარ, ეს ხომ არის?—გადახედა სწორედ გიას,—ბიჭო, ძნელია სუფთად წერა?

გიამ ხმა არ ამოიღო.

კიდევ შეეკითხა, მაგრამ გია ისევ ჩუმად იდგა თავჩაღუნული.

— ბიჭო, გია, შენ და გიგლა ყველაფერში ერთმანეთს ჰგავხართ და კარგი

რევაზ მარგიანი

* * *

მოქრის, თენდება უკვე
სასისარული დილა,
ეერება გზებს და შუკებს
ნანატრი თოვლის ფთილა.
გარეთ გამოდით, გარეთ!
მთა-ბარს სინათლე მოსავს,
ვასაროთ მშობელ მხარეს
ბედნიერების მოსვლა.
ვასაროთ ეველას, ეველას,
მშურად გავშალოთ ხელი,
გული სიამით ღელავს,
მოდის ახალი წელი!
ხედავთ ბაბუა ზამთარს?!
ჩვენსკენ იჩქარის ახლა,
ხედავთ, მოგვადგა კართან,
ცუგრუმელებიც ახლავს.
მოჰყავს ამალა დიდი,
ხონჩებით მოაქვს ხილი,
მოაქვთ ვეება ტვირთი—
საკაპური და ტკბილი.
ვაძა ბაბუა ზამთარს!
ჩაგვიტკბარუნოს ველი.
ჩვენთან დაბერტყავს კალთას
ტკბილი ახალი წელი.

იქნებოდა, თქვენი ნიშ-ნებიც რომ ერთ-ნაირი ყოფილიყო.

— ახლა არ არის, მაგრამ ამის შემდეგ იქნება,—დინჯად უპასუხა გიამ.

ბიძია სიმონმა „გაიღიმა და გულჯიბიდან ჯოხტად გაკეცილი ტკიცინა ქაღალდები ამოიღო.

— რაკი ეგრეა, რა გაეწყობა, თქვენი ნიშნები არ ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ მე მაინც ერთნაირ საჩუქრებს მოგცემთ,— და ერთი მოსაწვევი ბარათი გიგლას მისცა, მეორე—გიას.

გახარებული ბიჭები ბარათზე დახატულ ნაძვის ხეს დააცქერდნენ, რომელზედაც დიდი ასოებით ეწერა:

— გილოცავთ ახალ წელს! გვეწვიეთ ნაძვის ხესთან!

ვარსკვლავების სამყაროში

ბევრი რამ
არის ამ ქვეყანაზე საინტე-
რესო. ადამიანი ყველაფერს მისწვდა და
გაიგო. მაგრამ დარჩა ერთი სამყარო, რომელსაც ვერ
იქნა და ვერ მიაღწია მან.
ახლა ცას. ღამღამობით ის ვარსკვლავებით მოჭედილია, მთვარე
გვინათებს. ღღისით მზე გვათბობს და გვაცოცხლებს. მაგრამ თუ რ
ხდება იქ, არის თუ არა სამყაროში მეორე ისეთი პლანეტა, სადაც ადამიანები
ცხოვრობენ და ღუღს ისეთი სიცოცხლე, როგორც დედამიწაზეა, ეს ჯერჯერობით
ჩვენი თვალით არ გვინახავს.
დედამიწას გარშემო ჰაერის მკვრივი გარსი ახვევია, რომელსაც ატმოსფერო ჰქვია.
ბევრი მოვლენა, რაც ციურ სამყაროში ხდება, ჩვენთვის უცნობია. დიდი ხანია ცდი-
ლობენ მეცნიერები ამ ციური სამყაროს გამოკვლევას. ამიტომ ჯერ რაკეტები გაუშვეს
ზემოთ. შიგ იდგა ხელსაწყოები, — ტემპერატურის, ატმოსფეროს სიმკვრივის თუ სხვათა
გამოსაკვლევად. ამ ცნობებს ავტომატურად გადმოსცემდა რადიოგადამცემი. შემდეგ რაკეტა-
ში ცხოველებიც ჩასვეს,—ხან მაიმუნები, ხან ძაღლები, თაგვებიც კი, რომ გაეგოთ შეუძლია თუ
არა ცოცხალ არსებას იმ დიდ სიმაღლეზე გაძლება. ისინი რაკეტის შიგნით საგანგებო კამერაში
ისხდნენ. დაშვების დროს რაკეტას გზაზე ჰაერის ისეთი წინააღმდეგობა ხვდებოდა, რომ ხურდე-
ბოდა და იწვოდა. ხოლო ის კამერა, სადაც ცხოველები იყო მოთავსებული, პარაშუტით უვ-
ნებლად ეშვებოდა მიწაზე. მაგრამ რაკეტის ასვლა-ჩამოსვლა სულ რამდენიმე წამში ხდებოდა
და შიგ ჩადგმული აპარატები ამ მოკლე ხანში ვერ ასწრებდნენ მეცნიერებისათვის საინტერესო
ცნობების გადმოცემას.
ამიტომ საჭირო იყო ისეთი სხეულის შექმნა, რომელიც ათასეული კილომეტრების სიმაღლე-
ზე ავიდოდა და დიდხანს დაჰყოფდა იქ. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდნენ ამაზე
მეცნიერები.
და აი, 1957 წლის 4 ოქტომბერს მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ საბჭოთა ქვეყანამ პირ-
ველმა გაუშვა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. ის დიდ სიმაღლეზე სწრაფად მოძრაობს
დედამიწის გარშემო. სწორედ ამიტომ ჰქვია მას თანამგზავრი. მთვარესაც ხომ დედამი-
წის თანამგზავრს უწოდებენ, რადგან ისიც ჩვენს გარშემო ტრიალებს. ხელოვნურ
თანამგზავრში ჩადგმული იყო სხვადასხვა აპარატები, რომლებიც გადმოგვცემდნენ,
რა მოვლენები ხდება ზემოთ. მეცნიერებმა ზუსტად გამოიანგარიშეს, რა
წუთს, რომელ ქვეყანას და ქალაქს გადაუვლიდა თანამგზავრი და ყო-
ველი მსურველი დაინახავდა მას ცაში ღღისით თუ ღამით.
არ გასულა დიდი ხანი, და 3 ნოემბერს საბჭოთა მეცნიერებმა მეორე ხელოვნური თანამგზავრიც გაუშვეს.
ამ თანამგზავრში ძაღლი „ლაიკა“ ჩასვეს. ის
პირველი მოგზაური იყო ციურ
სამყაროში.

ლაიკასათვის ეს მოგზაურობა საკვირველი არ
ყოფილა. მას დიდი ხანია აჩვევდნენ ამას, აჰყავდათ
თვითმფრინავით ზემოთ.
ლაიკა ჰერმეტიულად დახშულ კამერაში იყო მო-
თავსებული. შიგ ჰქონდა დიდი ხნის სამყოფი საკმე-
ლი და ჰაერი, ის ხომ უჰაერო სივრცეში მოგზაურობ-
და. ზედ ტანზე მიკრული ჰქონდა ისეთი აპარატები,
რომლებიც გვატყობინებდნენ, თუ როგორ მოქმედებ-
და ფრენის დროს ისეთი პირობები ცოცხალი არსე-
ბის წნევაზე, გულზე, სისხლზე.
მთელი მსოფლიო გააოცა საბჭოთა ხელოვნური
თანამგზავრის გაშვებამ. ამერიკელმა ბავშვებმა მას
„ბები მუნ“ შეარქვეს, რაც პატარა მთვარეს ნიშნავს.
დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები მხოლოდ
პირველი ნაბიჯია. გავა დრო და ვინ იცის, იქნებ
თქვენც მოგიხდეთ საჰაერო ხომალდებით მთვარეზე
თუ სხვა პლანეტებზე მოგზაურობა. თქვენი თვალით
იხილავთ, რა ხდება ციურ სამყაროში და გაიგებთ ბევრს
საინტერესო რასმე. ადამიანის გონებამ მრავალი
სიძნელე გადალახა და ესეც სულ ახლო მომავლის
საქმეა.
თქვენ შესანიშნავი ცხოვრება გელით, საჰაერო ხო-
მალდების მომავალო მგზავრებო!

ნახატი **ან. კანდელაკისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზამთარი

ნესტორ მალაზონია

თოვლი მოდის,
თოვლი მოდის!
ფანტელს ქარი ათამაშებს,
დათოვლილი ნაძვის ტოტი
სათამაშოდ იწვევს ბავშვებს.
ეზოს ავსებს ჟრიამული,
მორბის ლია, ზურა, გიგა,
ზოგს თან მოაქვს თხილამური,
ზოგს ნიჩაბი, ზოგსაც ციგა.
შეხეთ, ყურშა სულ გაგიჟდა,
ერთ ნაბიჯსაც ვერ დგამს სწორად,
აქამდე თუ კართან იჯდა,
ახლა თოვლში ხტის და გორავს!

თინა და დათო

კარლო კობერიძე

თინამ კიდევ აატირა
ჩვენი ბიჭი დათო,—
ხან თოჯინას ედავება,
ხან ფისოს და ხან თოფს.
— საქანელაც ჩემი არის,—
უსირცხვილოდ ამბობს,—
გუშინ დილით ქალაქიდან
მომიტანა ბაბომ!..—
ტყუილს ამბობს, ტყუილის კი
დათოს როდი სჯერა:
— შენი ბაბო ქალაქიდან
არ მოსულა ჯერაც.

უკადრისი მამალი

ნიკოლოზ ჩაჩავა

მამალოო, ყაჩაღო,
ჩხუბი არ გააჩაღო!
მამლაყინწებს ყოველთვის
რატომ ეკინკლავები?
როგორ დაგიკორტნია
ბიბილო და თავები!
თინამ რომ არ გაჭამა,
ეს გაიგო ქათამმაც,
ინდაურმაც გაიგო,—
რა მოხდა და რა იყო?
თინა რატომ გაგიწყრა,
შენ კი ვერ გაგიგია,—
თავი რომ აგილია,
არ კადრულობ არავის,—
არც ფისოს, არც ვარიას.
აბა, რა გიხარია
მარტოდმარტო დარჩენილს?!

თოვლის დედაბრები

ა. მელიქიძე

ნახატები ი. არღიშვილისა

მესხეთ-ჯავახეთში დიდი ზამთარი იცის. ნორჩი ხეხილის ყინვისა და მღრღნელებისაგან გადასარჩენად აი, რას გვაკეთებინებდა მასწავლებელი სოფელ ტოლოშში:

მოვიდოდა თუ არა პირველი თოვლი, მთელ ბავშვებს თავს მოგვიყრიდა. ჩვენც ნორჩი ხეების გარშემო ჭრიამულით მივაგორებდით ფხვიერი თოვლის დიდ გუნდებს.

სკოლის დარაჯს ჭაღარა დავითს მოჰქონდა ძველი ცოცხები, ვედროები, კალათით სტაფილო. რაკი ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა, გულ-თესლგამოღებული უზარმაზარი კვახი თავზე ჰქონდა ჩამოცმული. ბავშვები ჩამოვართმევდით ცოცხებს, სტაფილოს, ვედროებს, რომლებშიც ცოტაოდენი ნახშირი ეყარა; ვცდილობდით, თავზე შევწვდომოდით და კვახიც წაგვერთმია.

— ამ კვახს იმას მივცემ, ვისი თოვლის დედაბერიც ყველაზე დიდი იქნება!—დაგვასწრებდა მასწავლებელი და ძია დავითს კვახს თვითონ მოხდიდა თავიდან.

გაჩაღდებოდა მუშაობა, გოგო-ბიჭები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. ვაშლის და მსხლის ნამყენებთან ვეებერთელა თოვლის ბირთვებს ვაგორებდით. მერე ბირთვს ბირთვზე დავდებდით და ნამყენების ღეროებიც ტოტებამდე თოვლის დედაბრებში გაეხვეოდა. თავზე დედაბრებს ვედროებს ვახურავდით, ცხვირებად სტაფილოებს ვუკეთებდით, თვალების ალაგას ნახშირი, მკლავებში კი ცოცხები ჰქონდათ.

უჰ, რა მრისხანე გამომეტყველება ჰქონდათ თოვლის დედაბრებს! წარმოიდგინეთ, მრგვალი თავები ვედროების ჩიხტით! თეთრი გამობერილი ლოყები, სტაფილოს გრძელი ცხვირები, შავი ნახშირის თვალები, ტოტები კი გაწეწილი თმებივით მოუჩანდათ! ყველაზე მრისხანე ის დედაბერი ჩანდა, რომელიც უფრო მაღალი და სქელი იყო. მას თოვლის თავის მაგივრად კვახი გავუკეთეთ. კვახს თვალების, ცხვირის და პირის ადგილები გამოვუხვრიტეთ. საღამოზე შიგ ფარანი ჩავდგით. ეს დედაბერი საკვირველად აფრქვევდა სინათლეს. ღამღამობით მისი შუქიანი თვალები მღრღნელ კურდღლებს მგლის თვალები ეგონათ და აღარ ეკარებოდნენ, თუმცა ძალიან უნდოდათ პირის ჩატკბარუნება ნორჩი ხეხილის ქერქით. სიცივეც ვერას აკლებდა ხეებს, რადგან თოვლში იყვნენ ჩამჯდარნი. თუ ასეთ თოვლის ქურქებში არ ისხდნენ, ხეები ხშირად გაზაფხულზე ხმებოდნენ, ანდა ქერქი შემოღრღნილი ჰქონდათ. ამიტომ ყველა ნორჩ ხეხილს თოვლის დედაბრებში ამოვაყოფინებდით ხოლმე თავს.

სოფელში ბევრმა წაპბაძა ჩვენს სკოლას; ტოლოშში ამჟამად მშვენიერი ბაღებია.

პატარინა სპორტსმენები

ჯანსუღ ჩარკვიანი

ნახატები
გ. თოთიბაძისა

ფეხბურთელი

ოსტატი არის ფეხბურთის
და გუნდის კაპიტანია,
თუმცა ჯერ გოლში არც ერთი
ბურთი არ გაუტანია!

ცხენოსანი

რა ცხენი ჰყავს, რა ცხენი,
ვისაც გინდათ იხილეთ!
რა ვუყოთ, რომ პატრონი
მის მაგივრად ჭიხვინებს!

მორბენალი

ას ნაბიჯზე გარბიან,
ორთქლი ასდით პირიდან;
სულ პირველი ფინიშთან
სანდროს ჩუსტი მივიდა!

ტანმოვარჯიშე

ფეხები ცას მივაბჯინე,
მიწას ხელებით შევები,
დღეს გია თუ მეშველება,
ხანდახან მეც ვეშველები!

ფარიკაობა

გული გვაქვს ყველას რკინისა,
აბჯარი ყველას—სისაო.
ვერ გვიმკლავდება ვერავინ
ბიჭები ჩვენი ხნისაო!

ველოსიპედით

გავქროლდით და ხუთიდან
ორნი ერთად მივედით,
რომელია ნეტავი
ჩვენში უ ფ რ ო პირველი?!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი ოქროპირიძე

ნაცარა ფოსტალიონი

ნახატები ი. ბაბაშვილისა

ერთ დაბურულ ტყის პირას ცხოვრობდა ნაცარა ფოსტალიონი. მას გრძელი ყურები და ნაცრისფერი ბეწვი ჰქონდა. გათენდებოდა თუ არა, ცაში მტრედის ღულუნი გაისმოდა:

— ჰეი, ნაცარა ფოსტალიონო, მიიღე ფოსტა!—და ზევიდან წერილების დასტა ძირს დაეშვებოდა. ისიც ჰაერშივე იჭერდა წერილებს, გადაკიდებდა მძიმე ჩანთას, მარდად შესკუპდებოდა ველოსიპედზე და ჭერი!—სიმღერით მიჰყვებოდა ნაცნობ ბილიკს. ტყეში ყველას უყვარდა ნაცარა ფოსტალიონი; ზოგი სასიხარულო წერილს ელოდებოდა, ზოგიც—გემრიელი სასუნაგით სავსე ამანაოს.

მხოლოდ ბოროტ მგელს სძულდა ნაცარა ფოსტალიონი და ემუქრებოდა, რადგან მგელთან არავის სურდა მეგობრობა და არავინ სწერდა წერილებს.

— ბებიას ჩემთვის არაფერი გამოუგზავნია? — ეკითხებოდა პატარა წავი და ჩანთაში იხედებოდა.

— ეჰ, ნეტავ კი ვინმე მსუქან ვარიკას გამომიგზავნიდეს,—ნატრობდა პატარა მელაკუდა.

ერთ დღეს ნაცარა ფოსტალიონს ენაჭარტალა ჩიკვები დახვდნენ:

— ნაცარავ, შენს გახარებასა, ჩვენთვის ახალი არაფერია?

— როგორ არა, აი, წერილი მეზობელ ტყიდან, თქვენმა დიდა შვილმა გამოგიგზავნათ!—უპასუხა ნაცარა ფოსტალიონმა და კონვერტი გაუწოდა.

გახარებულმა ჩიკვებმა მაშინვე გაგლიჯეს კონვერტი და წერილის კითხვას შეუდგნენ.

— დახე, დახე, რას იწერება! თურმე ბიძია დათვმა თავის ბელებს ტკბილი მსხლები გამოუგზავნა. ზღარბი ჩხვლეტიაც აყრილა თავისი შვილებით და ჩვენს ტყეში აპირებს გადმოსახლებას,—განაგრძობდა ჩხიკვი კითხვას.

— წამოდი, ახალი ამბავი ყველას შევატყობინოთ! — თქვეს ჩხიკვებმა, ფრთა-ფრთას შემოჰკრეს და ტყეს ჩხავილით მოედვნენ.

ნაცარა ფოსტალიონი კი მიაქროლებდა ტყის მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე თავის ველოსიპედს და თან ღიღინებდა:

ასე დავქრი კურდღელი,
კუდმოკლე და ყურგრძელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



74 98

გრძელ ჩანთას თან ვატარებ,
ჩემს მეგობრებს ვახარებ,
წინ გზა მიდევს გრძელია,
ოდელია, დელია, ჰეი!

გზაზე ზღარბი შემოეყარა, უშველებელი ფუთა შემოედო ზურგზე, ზედაც ორი პატარა შეშინებული შვილი შემოესვა და ძლივს მილასლასებდა.

— ჰეი, ზღარბო,—შესძახა ნაცარამ,—საით გაგიწევია?

—ახალ ბინაზე გადავდივარ, ძალიან დავიღალე, ბალღებმაც ველარ იარეს და ზურგზე შემოვისხი,—უპასუხა ზღარბმა და გზიდან გადადგა, რომ ფოსტალიონისათვის გზა დაეთმო.

—მოდი, შემოუჯექ ველოსიპედს, სახლამდე მიგიყვან!—გაულიმა ნაცარამ, ზღარბი თავის შვილებიანად უკან შემოისვა, მათ ბინასთან ჩამოსხა და გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, იმ ჭალაში ამოჰყო თავი, სადაც თხუნელა ცხოვრობდა.

— მასპინძელო, გამოიხედე! — დაებრახუნა მიწისქვეშა კარზე ნაცარამ.

— რომელი ხარ?—გამოსძახა თხუნელამ,— მობრძანდით!

— ეს მე ვარ, ნაცარა ფოსტალიონი, შვილის წერილი მოგიტანე!

—შენ კი გაიხარე, კეთილო ნაცარავ,—აფუსფუსდა თხუნელა,—ბარემ მადლი ჰქენ, გეთაყვა, წერილი წამიკითხე, ხომ იცი, ვერაფერს ვხედავ.

ნაცარა ფოსტალიონმა კონვერტი გახსნა და წაუკითხა. შვილი ბევრ სასიხარულო ამბავს ატყობინებდა თხუნელას: ბაღში, მიწისქვეშ, მაისის ხოჭოს ჭუპრები აღმოჩნდაო, ახლა ჩემს მეგობრებიანად ვანადგურებთ და ჩქარა შინ დავბრუნდებითო.

ფოსტალიონმა ველოსიპედზე შეჯდომაც ვერ მოასწრო, რომ ხიდან პატარა ციყვი ჩამოხტა და თათებით ცრემლებს იწმენდდა.

— რა მოხდა?—შეეკითხა ნაცარა ფოსტალიონი.

— დედაჩემი ავად გამიხდა, — სლუკუნებდა პატარა,—არც მამაჩემია შინ, არ ვიცი, რა ვქნა...

— ნუ ტირი, წამოდი, ექიმთან გავიქცეთ!—თქვა ნაცარამ, ციყვი ველოსიპედზე შემოისვა და კოდალასაკენ გაქანა.

— ჩქარა, კოდალავ, გაფრინდი ციყვთან, ავად გაუხდა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა!—შესძახა მან ტყის ექიმს.

— ახლავე, ახლავე!—დაფაცურდა კოდალა, წამლების აბგას ნისკარტი ჩაავლო და გაფრინდა. ნაცარა ფოსტალიონი და პატარა ციყვი შინ რომ დაბრუნდნენ, ფუღუროს გარშემო ტყის უამრავ მცხოვრებლებს მოეყარათ თავი: ციყვი ჰაერზე გამოეყვანათ და ფოთლით უნიავებდნენ.

— დროზე მოვუსწარი, შხამიანი სოკო უჭამია და მოწამლულა, ახლა კი არაფერი უშავს,—ამბობდა კოდალა.

ნაცარა ფოსტალიონი კი თავის გზას გაუდგა. უეცრად ბუჩქებში დამალულ მგელს მოჰკრა თვალი; დაყვირებაც ვერ მოასწრო, რომ ავაზაკი ერთის ნახტომით ეცა, კისერში თათი ჩაავლო და ჰაერში აიტაცა.

— აა, ხომ ჩაგიგდე ხელში, ახლა კი ნამდვილად შეგსანსლავ!—აღრიალდა მგელი.

ამ ხმაურზე ჩხიკვები წამოფრინდნენ და ტყეში ჭახჭახი ატეხეს:

— მგელმა ჩვენი ნაცარა ფოსტალიონი დაიჭირა, ჩქარა, უშველეთ!

მგელმა წაართვა ნაცარა ფოსტალიონს ჩანთა, წერილები ფეხით გათელა, ამანათები გაგლიჯა და ხარბად დაუწყო მათ სანსვლა. კურდღელი კი შიშით ცახცახებდა და კვნესოდა:

— გამიშვი, რას მერჩი, მე ხომ შენთვის არაფერი დამიშავებია!..

— ვერსად წამიხვალ, ახლავე ჩაგახრამუნებ, დილას აქეთ მუცელი შიმშილისაგან მილაულაყებს, — ღრიალებდა მგელი.

არ გასულა ერთი წუთიც, რომ ყოველი მხრიდან გამოჩნდნენ მეგობრები ნაცარა ფოსტალიონის გადასარჩენად.

— არ გაბედო!—ყვიროდნენ დათვის ბელები,—ჩვენ ნაცარასაგან ბევრი სიკეთე გვახსოვს.

ზღარბი ჩხვლეტია გორგალივით დამრგვალდა, სერიდან დგორდა და მგელს ცხვირში ეცა. ციყვებმა ხიდან ნაძვის გრჩები დაუშინეს. ჩხიკვებმა თვალებში ჩაუნისკარტეს, დათვმა სახრეს თათი დაავლო და ზურგში უთავაზა. ცხოველებმა მგელს მანამდე სდიეს, სანამ სადღაც შორს არ გადახვეწეს. მერე დაფანტული წერილები აკრიფეს, კურდღელს ჩანთაში ჩაულაგეს. შესვეს ველოსიპედზე და ნაცარა ფოსტალიონი შინ გააცილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მკვეხარები

ბიმნევ ლუნგრენი

ნახატები გ. როინიშვილისა

ჩემს სქელ ჯავშანს ვინც შეხედავს,
შიშისაგან გარბის ყველა!—
ტრაბახობს კუ ცრუპენტელა.
— შორიდანვე ფრთხება ყველა ჩემი რქების დანახვაზე!—
ლოკოკინამ ბრძანა ასე.
— ამ ეკლების შემხედვარე, ყველა მხეცი შიშით გარბის!—
ბაქიბუქობს ჩია ზღარბი.
ამ კვეხნაში ვერც შენიშნეს,რომ დიდი გზა გაიარეს
და მიადგნენ ერთ მდინარეს.

ჩუ! უეცრად გრძელთათება, ამაყი,
მათკენ მოხტის ბაყაყი.
და ბაყაყის დანახვაზე სამნი გორგლად იქცნენ წამსვე.
ამ მამაცი ჯგუფისაგან რაღა დარჩა, აი, ნახეთ:
სამი მორგვი მოცახცახე!
აქ ბაყაყმა თქმა ინება:
— მხდალებს უყვართ თავის ქება!
და იმიტომ,რომ დამთავრდეს ზღაპარი,
მდინარეში მოადინა ტყაპანი.

პოლონურიდან თარგმნეს მედეა მალანიამ და სტანისლავ რავიჩმა



6.107/32

რკოს კაცუნა სტუმრად თხილის კაცუნებთან

ეს სათამაშო შესრულებულია

ნინო ანთაძის მიერ

ნახატი
ნ. ბრაილაშვილისა

ყდის მხატვრობა ეკუთვნის **რ. ცუცქირიძეს**

რედაქტორი ი ო ს ე ბ ნ ო ნ ე შ ვ ი ლ ი. სარედაქციო კოლეგია: ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, კ. გ ო გ ი ა შ ვ ი ლ ი, მ ა ყ ვ ა ლ ა მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი (რედაქტორის მოადგილე), ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ნ. უ ნ ა ფ ქ ო შ ვ ი ლ ი, შ. ც ხ ა დ ა ძ ე (სამხატვრო რედაქტორი) გამოცემის ოცდამეთერთმეტე წელი ფასი 2 მან.

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 1, январь. 1958 г. Тбилиси, Просп. Плеханова 91.

საბლიტგამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 614, სტამბის შეკვ. № 2421

ტირაჟი 25000 უე 04223 ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XII 1957 წ. ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში